საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №1/ნ

2026 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 (სსმ, 20, 13/02/2007, სარეგისტრაციო კოდი: 040.030.000.22.022.009.972) ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შევიდეს ცვლილება და დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა[1]) შეიმუშავებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებასა და სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
მინისტრი — **გივი მიქანაძე**